№ 241 ნოემბერი 11, შაბათი 1889 ნოემბერი 11, შაბათი № 241


გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 7 | 65 | 1 . . . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარაიცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიასსა თავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
[illegible] განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი 1877—1889


## სასწავლებელი და პანსიონი

### ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, კარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

(15—15)


„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წევრთა

წლიური კრება

დანიშნული 5 ნოემბრისთვის ვერ შესდგა, რადგან კანონიერი რიცხვი წევრთა არ შეიკრიბა. ამის გამო, საზოგადოების წესდების მე-15 § ძალით,

ხელ-მეორედ კრება

დანიშნულია 12 ნოემბრისათვის, კვირას, დილის 10 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

ქართული თეატრი

სამშაბათს, 14 ნოემბერს,

ბენეფისი

ა. დ. ყიფიანისა

ქართულის თეატრის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება:

პირველად

კარდინალი რიშელიე

კომედ. 5 მოქმედ. თარგ. ა. ცაგარლისა

II

ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი

ვოდევილი 1 მოქმედებად.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, ავალიშვილისა, დიმელი; ბ-ნნი ყიფიანი, აბაშიძე, სვიმონიძე, გუნია, ცაგარელი, გედევანოვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

## ახალი ამბავი

*** ხუთშაბათს საღამოზე ფორკატის დასმა წარმოადგინა ოპერეტი „ხელი და გული". ამ ოპერეტში მონაწილეობა მიიღო ახალმა არტისტმა ბ-ნმა მაქსაკოვმა, რომელმაც გამოიჩინა წმინდა და ძრიელი ხმა. ახალმა არტისტმა თავის საუცხოვო სიმღერით ძრიელ მოაწონა თავი საზოგადოებას, რომელმაც ყოველ აქტზე დაასაჩუქრა არტისტი ხანგრძლივის ტაშის კვრით. ბევრი ტაში და მოწონება საზოგადოებისა ერგო აგრეთვე ქ-ნს რატმიროვისას, რომლის რეპერტუარში ერთი უპირველესი ადგილი უნდა ეჭიროს ამ ოპერეტს.

*** გუშინ შესრულდა ოთხი წელიწადი იმ დღიდგან, რაც ეკურთხა მისი უწმინდესობა სომეხთა პატრიარქ-კათალიკოსი მაკარი. ამის გამო ვანქის ეკკლესიაში ტფილისის სომეხთა სამღვდელოებამ მის ყოვლად ეპისკოპოსის არისტაკესის თაომდგომობით გადაიხადა პარაკლისი, რომელზედაც დაესწრო დიდ-ძალი ხალხი და ყველა სომეხთა სასწავლებლის მოწაფენი მასწავლებლებითურთ.

*** ამ თთვის 8 კავკასიის სამეურნეო გამოფენის სადგომში უკანასკნელი სხდომა ჰქონდათ ამ გამოფენის ექსპერტებს. ამ სხდომაზე ექსპერტებმა გადასწყვიტეს, რომ კავკასიის სამეურნეო გამოფენის ექსპონენტები მიიღებენ 1030 ჯილდოსაო. ამ ჯილდოებში სხვათა შორის ორმოცამდე ოქროს მენდალია და დანარჩენი ვერცხლისა და ბრინჯაოს მენდლები და დიპლომები. ამ ჯილდოებს კვირას, ამ თთვის 12, დაურიგებენ ექსპონენტებს სასახლეში.

*** საეკკლესიო დღესასწაულებს ჯერ სოფლებშიაც დაეტყოთ ახალ დროის უფერულობა და ამიტომ არ გვიკვირს, რომ ქალაქ ადგილებში სრულებით ვეღარას მოგაგონებთ უწინდელი'ს დროს გატარებისას და მხიარულებისას. პარასკევს, 10 ნოემბერს, ქაშუეთის ეკკლესიაში დღეობა იყო წმ. გიორგისა. კვლავ ამ დღეობის წინა-საღამოს გალავანში ადგილი აღარ იყო ხოლმე ღამისმთეველებისგან, გათენებამდე არ გათავდებოდა მხიარულება, წვეულება, ცეკვა-თამაში. ეხლა-კი, ხუთშაბათ საღამოს, მხოლოდ რამდენიმე ღამის-მთეველი იყო და ისე შემოსული ხალხი ძალიან ნაკლებად. მართალია, სუსხი-სიცივე იდგა და ამის გამო ბევრი ვერც-კი გამოჰბედავდა გარეთ გამოსვლას, მაგრამ მაინც ხალხი ცოტა დაესწრო ამ დღესასწაულის წინა დღეს. თუმცა „ზურნისა" და დაირის ხმა გაისმოდა აქა იქ და კიდეც სცეკვაობდნენ საპატარძლო ქალები და ჯვარ-დასაწერი ვაჟები, მაგრამ სულ რაღაც უფერულოდ, უგემურად.

*** სახხერე: სახხერეს ახლო-მახლო სოფლებში მძვინვარებს მუცელა, რომელმაც რამდენიმე მამაკაცი და დედაკაცი იმსხვერპლა. სოფელს სვერში 12 დღის განმავლობაში ათი სული ადამიანი გარდაიცვალა. ჩვენს ბედობაზედ არც ექიმია, არც ფერშალი და არც აფთიაქი. სახხერეს ერთად-ერთი ექიმი, ცხადია, ვერ გასწვდება ამოდენა სოფლებს და ვართ ასე ღვთის ანაბარად დატოვებული.

*** იქიდამვე: საქონლის ჭირიც გაჩნდა ჩვენსკენ. ამბობენ, რომ ჭირი გააჩინეს ჩოდრებმა, რომელთაც თათრული საქონელი ჩამორეკეს გასასყიდადაო.

*** ხოფ. სვერი (შორაპნის მაზრა): აქაურმა მღვდელმა მამა ლენტორ წერეთელმა გამართა ჩვენში სამრევლო სკოლა და უსასყიდლოდ ასწავლის ყმაწვილებს. სადგომად სკოლას თავისი საკუთარი სახლები დაუთმო დროებით. მრევლს დიდად უხარიან ეს ამბავი და დიდი მადლობელიც არის თავის მოძღვრისა ამ კეთილის საქმისათვის.

*** კვირას, 12 ნოემბერს, ნაშუადღევის პირველს საათზედ დანიშნული აქვს საქართველოს ეგზარხოსის სადგომში წლიური კრება ქრისტიანობის აღმადგენელს საზოგადოებას. საზოგადოებას ჰქონია საანგარიშო წლის დამდეგს 136,419 მან. 78 კაპ. დაუხარჯავს წლის განმავლობაში სამრევლო სკოლებისა და სხვა საჭიროებისათვის 111,468 მან. 79 კაპ. ამ ფულიდამ სამღვდელოების ჯამაგირად დახარჯულა 61,377 მან; 32,000 სკოლებს, 5,100 მან. ეკკლესიების ასაშენებლად და გასაახლებლად. ამ წლის დამდეგს საზოგადოებას ჰქონდა კიდევ 24,951 მან. ფული (გაზ. „კავკაზი").

*** იგივე გაზეთი ამბობს, რომ ახალციხის საქალაქო სკოლასთან ქალაქის საბჭო აპირობს დააარსოს სამეურნეო განყოფილებაო. ყოველ ამისათვის საბჭომ გადასდო წელიწადში 1,600 მან.

## უცხოეთი

საფრანგეთი. უკვე დაიწყო კრებანი საფრანგეთის ახალს პალატაში. თავმჯდომარედ პალატისა არჩეულ იქმნა ფლოკე. თავმჯდომარეობის კანდიდატად ორნი გამოვიდნენ: ფლოკე და ბრისონი. ფლოკემ გაიმარჯვა და არჩეულ იქმნა თავმჯდომარედ დიდის ხმის უმეტესობით. ამბობენ, რომ ამისი მიზეზი ფლოკეს მომხრეობაა კონსტიტუციის გადასინჯვისაო. ბრისონი

## ფელეტონი

ზღაპარი

ბადრისა, უსიპისა და ამირანისა,

ანუ

ხალხში დაშთენილი ამირან-დარეჯანიანი.

(შემდეგი *)

ამირანმა უთხრა ძმებს: აბა, ძმებო, მეტი ღონე აღარ არის, უნდა მაგ ვეშაპებს შევებნეთო.

თეთრი ბადრს, წითელი უსიპს,
შავი ჩემდ გინებებიათ!
—თეთრიც შენა და წითელიც,
შავიც შენ ნაგონარია.

უპასუხა უსიპმა: აკი გითხარ, ინანებო. შენი გაფუჭებული საქმე შენვე გააკეთე, შენი გამრუდებული გზა შენ გაასწორეო. ჰაი, უსიპო, უსიპო! უთხრა ამირანმა:

უსიპო, ჩემი სიმუხთლე
სულ მუდამ გულში გდებია;
ტვინი, სადები თავშია,
ჩაბალახშია გდებია!

—მაშ შენ მაინც მომეშველე, ბადროვო, უთხრა ბადრს ამირანმა. მაგრამ ბადრმაც უარი უთხრა. მაშინ ამირანმა უთხრა ბადრს:

არა ჰქოფილხარ, ძმავ ბადრო,
ფერი არქატი გქონია,
დაჯე, და გერე ტუჩები,
სხვა ხელი არა გქონია!

კიდევ უთხრა უსიპს, მომეშველენითო, მაგრამ უსიპმა უარი სთქვა:

შენისა ცოლის გულისთვის
სულ ძმები დავილიენით.

მაშინ ამირანი თავის აბჯართ მიუბრუნდა და უთხრა:

ჩემო ხმალო და აბჯარო,
საძალედ მამეშველენით!

და დაუწყო სასტიკი ომი გველეშაპებს. მოჰკლა თეთრიც, მოჰკლა წითელიც.

თეთრი მოჰკლა და წითელი,
შავსა შავა მაშვრალი.

გაიხედა ამირანმა და დაინახა, რომ ბადრი და უსიპი წასულან და გადადიან მთაზედ. დაუძახა:

რომელ მისვალ მა მთასა,
რომელი მიჰკეც მაგ გზასა,
გადადი და დაუძახე
ბადრსა, უსიპსა, ჩემს ძმასა:
თეთრიც მოვკალ და წითელიც,
ნუღარ გადივლით მა მთასა!

დაბრუნდითო. შევბა შავს გველეშაპს დაღალული და დამაშვრალი.

შავმა აიღო, ჩაყლაპა,
შავის ზღვისაკენ გასწია.

ჩაყლაპა შავმა და გასწია თავის დედისაკენ. რაკი დაინახეს ძმებმა, ამირანს უჭირსო, მაშინვე გაიქცნენ ამირანის საშველად. დაეწივნენ ქარცეცხლს, ესროლა უსიპმა ისარი და ცხრა ადლი კუდი მოსწყვიტა შავს გველეშაპს. ქარცეცხლს ისე მოწყვეტილი კუდი არა სტკიოდა, როგორც ჩაყლაპული ამირანი ატკიებდა მუცელს. დარეჯანისძე ჰგლეჯდა გულმუცელს და იკლაკნებოდა ქარცეცხლიც საშინლად. ქარცეცხლს ერთი რკინის ბოძი ჰქონდა. რომ ვინმე ჩაეყლაპა, მივიდოდა, შემოეხვეოდა იმ ბოძს გარს, დაამტვრევდა და მოინელებდა. ეხლაც ამირანის დამტვრევა უნდოდა, შემოეხვია ბოძს, მაგრამ კუდი პირში აღარ მოსწვდა, რადგან უსიპმა მოაწყვიტა. მივიდა დედასთან ქარცეცხლი და შესჩივლა, მუცელი მგვრემს, ცეცხლი მეკიდებაო.

— ვაიმე, შვილო, თუ დარეჯანიანთი ვინმე ჩაჰყლაპე, იმათ კაცს შენ ვერ მოინელებო. რა კაცი იყო, რა ფერი ჰქონდაო?

— საცერივით თვალები ჰქონდა და ერთი ოქროს კბილი ედგაო.

— ამირანი ყოფილა, შვილო, დარეჯანისძე.

ამირანს ჯიბეში ალმასის დანა ედვა, მაგრამ არ მოაგონდა. ბოლოს უსიპმა უთხრა ბადრს: ძმაო, ჩაჰძახე, შენი ხმა მშვენიერია, დანა მოაგონეო.

ჩადი, ბადრო, და ჩაჰძახე,
ხმა შენი მშვენიერია:
„მაუდის დარეჯანის ძეთ
ჯიბეს ჩადება დანისა,
ამოღება და გამოჭრა
მაგ შავის გველეშაპისა!

მართლაც მოაგონდა ამირანს დანა, ამოიღო, გამოსჭრა ქარცეცხლის მუცელი და გამოვიდა, მაგრამ წვერი და თმა-კი გასცვივნიყო. უსიპმა შეჰხედა გაქოსავებულს ამირანს, გაეცინა და დასცინა:

ამირანი დაიბადა,
გოჯსა ჰგვანდა სუხალსა,
წვერ-ულვაში გასცვივნოდა,
ჩაეყარა ტომარასა.

ეწყინა ამირანს უსიპის სიტყვა და გაჯავრებულმა უპასუხა:

ისავ გაყია ამირან,
გუშინ რო ჩამოჰქარობდა;
არც არა ბევრი ტანთ ეცვა,
არც არა მკლავთა ჰფარობდა...
კაცი გამოვა კაცობრი,
წვერი არ დაეხავსოსო,
თხასაც ასხია ბალანი,
მაზმანი დააფასებსო.

— შენ ძმა-კი არა, ჩემი მოსისხლე მტერი, ჩემი ძირის მთხრელი ჰყოფილხარ, უთხრა ამირანმა უსიპს: მტერიც არ მიზამდა იმას, რაც შენ მიყავიო. მუდამ მღალატობ, მუდამ ჩემი მარცხი და ღალატი გიძე გულში. მტერს ვებრძოდი, არ მიშველე, გამექე, დამანებე თავი; მტერმა ჩამყლაპა, თავი არ შაიხვიე შავით; მტერს გადავერჩი და ეხლაც დამცინიო. მე არც თქვენი ძმობა მინდა და არც მტრობა. „არც მინდა შენი ლეშიო, ნურც არას შემომხვნეშიო", ამისა არ იყოს, წავალ, ან მე მოგშორდებით, და ან თქვენ უნდა მომშორდეთ.

— ნუ გეწყინება, ძმაო ამირან, უსიპის სიტყვები, გულად ნუ მიუშვებ. ხო იცი, უსიპი როგორი კაციც არის; წვერ-ულვაშზე-კი ნუ იჯავრებ, იგრი ბატონთან ჩაიდეთ, ის გაგიკეთებს, როგორიც გინდა. იგრი ცოტა ავი კაცია, იმის კარებზედ რო მიხვიდე, იგრი ბატონო დაუძახე, თორემ არ გაგიკეთებს: დაარიგა ბადრმა ამირანი.

წავიდა ამირანი, მივიდა იგრის სახლის ბანზედ და საკვისას ჩასძახა:

— იგრი! იგრი! კარში გამოდიო.

იგრი ხელკვერიანი გამოუვარდა ამი-

*) იხ. „ივერია" № 240.

წინააღმდეგია ამ გადასინჯვისა და ამიტომ გაშავა პალატამაო. ფლოკეს-კი კონსერვატორებმაც თეთრი კენჭი მისცეს, რადგან კონსტიტუციის გადასინჯვის მომხრეობა რადიკალებისა და მათ რიცხვში ფლოკეს მიერ ჯერაც სხვა-და-სხვა იმედებს უღვიძებს გულში კონსერვატორებსაო.

— ბულანჟელებს განზრახვა ჰქონდათ დიდი არეულობა მოეხდინათ იმ დღეს, რა დღესაც ახალი პალატა შეკრბებოდა. ბულანჟელების გაზეთები სთხოვდნენ თავიანთ მომხრეებსა და თანამგრძნობელებს, რაც შეიძლება ბლომად შეიკრიბენით და წინააღმდეგობა გამოეუცხადოთ მთავრობასაო. მაგრამ გაზეთები შეკრთნენ და ბოლო ვერ გაატანეს თავიანთს განზრახულს საქმეს. როცა დადგა დღე კრებისა, ბულანჟელების გაზეთებმა უკან დაიხიეს და ურჩიეს ბულანჟელებს: ეხლა ვერ მოხერხდება არეულობა, ისევ სხვა დროსთვის გადავდოთო. ამბობენ, გაზეთებს იმისი შეეშინდათ, რომ მთავრობამ ყოველივე ივარაუდა და წინდაწინვე დიდ-ძალი ჯარი დაამზადესო. ზოგი-კი ჰგონებს, რომ მიზეზი სხვა იყოო, მიხვდნენ, რომ ტყუილად ვჰყვიროთ, ჩვენი მომხრეები ნაკლებად სჩანან და ამიტომ მიჩუმდნენ კიდეცაო.

— ბევრსა ლაპარაკობენ ახლა პარიჟში ალფონს დოდეს ახალის დრამის გამო. ეს დრამა განგრძობაა და დასასრული მისის რომანისა „აკადემიკოსი“. დრამისათვის დოდეს სახელად დაურქმევია: «ბრძოლა არსებობისათვის». კრიტიკას ადგილ-ადგილ, შიგა და შიგ ძრიელ მოსწონებია ეს დრამა, მაგრამ საზოგადოდ, საერთოდ-კი ძალიან გაჭიანურებულიაო; უფრო მოთხრობასა ჰგავს, ვიდრე სასცენო ნაწერსაო. გმირი დრამისა არის პოლ-ასტიე, შვილი იმ აკადემიკოსისა, რომელიც მასხარად არის აგდებული რომანში. პოლ-ასტიე რომანშიაც პირუტყვად არის გამოყვანილი და დრამაში მისი სულმდაბლობა და უშვერობა უფრო ცხადად სჩანს თურმე. ამ პირუტყვობისა და უშვერობისათვის პოლ-ასტიეს ჰკლავს რევოლვერით მისგან შეურაცხებული და გაბიაბრუებული მოხუცი კაცი, რომლის ქალიც პოლ-ასტიემ შეაცდინა. ამ ვაჟბატონს ცოლის მოწამვლა უნდოდა და თითონ-კი მოუღეს ბოლო...

---

## ქორწინება და განქორწინება ამერიკაში

წერილები დუ-ვერნოისა

(შემდეგი *)

უფრო შესანიშნავია ამ მხრით იზაბელლა დევისის ამბავი. ეს ყმაწვილი ქალი თხუთმეტის წლისა მისთხოვებია ამოს ჯონსონს და შემდეგ კიდევ ზედიზედ შეურთავს მაკ-დენი, აბრამ ელმორი, პავლე ხატესნი, ვილიამ ფერგიუსონი და სამუელ ნიკსონი. ყველა ესენი ცოცხლები არიან, სხვა-და-სხვა შტატში სცხოვრობენ და აქამდე არც ერთი არ განქორწინებია თავის მეუღლეს. ამ ჟამად იზაბელა თავისს თავს სამუელ ნიკსონის კანონიერ მეუღლედა სთვლის და იმასთანაცა სცხოვრობს სამხრეთ კაროლინში. დანარჩენს ხუთს ქმარს საჩივარი აქვთ აღძრული და თხოულობენ, რომ ან ცოლი დაგვიბრუნეთ და ან თავისუფლება მოგვეცითო. ეს საქმე ამერიკის ხუთს სხვა-და-სხვა სასამართლოში ირჩევა. განქორწინების კანონების შესწავლა რომ მოისურვოს ადამიანმა ოც-და-თვრამეტის შტატისავე, საშინლად დაიბნევა და თექვსმეტს უმთავრესს მიზეზს ძლივს გამოარჩევს განქორწინებისას. ამ მიზეზებში ნიუ-იორკის შტატში მარტო ერთი აქვთ შესწყნარებული, სხვა შტატებში—ათამდე, მაგრამ ორს შტატს ვერა ჰნახავთ ისეთას, რომ ერთგვარი მიზეზი ჰქონდეთ შეწყნარებული. აი ის თექვსმეტი რა მიზეზია: 1) ცოლ-ქმრობრივი ღალატი; 2) ორ-ცოლობა; 3) თავის ნებით თავის დანებება რამდენისამე ხნით; 4) ხუთის წლით სხვაგან ყოფნა რომლისამე მეუღლისა; 5) კავშირი ქმრისა სხვა მოდგმის ქალთან; 6) სიგიჟე, ან სულით ავადმყოფობა; 7) მალ-მომრეობა; 8) მაწანწალობა; 9) შეურაცხება; 10) საპატიმროში დაპატიმრება დანაშაულისათვის; 11) სიმთვრალე; 12) ულონობა; 13) ცოლის უარი, რომ თან ვერსად გამოგყვებიო; 14) ბიწიერება; 15) იმ მწვალებელთა წევრობა, რომელთაც დედაკაცთან ყოველივე კავშირი აღკრძალული აქვთ და სხ. ამ მრავალ მიზეზთან ზოგიერთს შტატებს მიუნიჭებიათ მოსამართლეებისათვის უფლება, რომ თავისის შეხედულობით განაქორწინონ ხოლმე ცოლ-ქმარნი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 225, 226, 227, 228, 230, 232 და 237.

---

# დეპეშები

9 ნოემბერი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა საარტილერიო დღესასწაულზე: „ბატონო არტილერიელებო! ბედნიერი ვარ, რომ შემიძლიან მოგილოცოთ დღეს 500 წლის იუბილეი ყველა ჩვენგანისათვის ძვირფასის დღეობისა. ბედნიერი ვარ, რომ ეგ იშვიათი იუბილეი ჩემს მეფობაში მოხდა. გულითა და სულით გმადლობთ ყველას, აქ მყოფთ და არ მყოფთ, ეხლანდელთა და წინანდელთა მუდმივ ერთგულის სამსახურისათვის. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი არტილერია, როგორც მთელი ჩვენი ჯარი, წინანდებურად თავს ისახელებს ომში. ღმერთმა-კი ნუ ჰქნას, ეს ამბავი მალე მოხდეს; უფალმა დაგვიხსნას ამ მძიმე განსაცდელისაგან! მაგრამ თუ მაინცა და მაინც არ აგვცდა, დარწმუნებული ვარ რომ ჩვენი მამაცი არტილერია და დანარჩენი მხედრობაც თავს გამოიდებს ჩვენის საყვარელის სამშობლოს სახელისა და დიდებისათვის. გაუმარჯოს ჩვენს არტილერიას!

საარტილერიო დღესასწაულზე განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია დარბაზის შუა ნაწილის მოწყობილობამ: კედელზე ხელმწიფე იმპერატორის სურათი იყო, მცენარეებით გარემოცული, აქეთ-იქით ორი ქანდაკება იდგა: იმპერატორის პეტრე I-სა და დიდის მთავრის დიმიტრი დონელისა. სურათის წინ იდგა სამი ზარბაზანი: შუაში ახალის ყალიბისა, აქეთ-იქით უძველესისა—მათ შორის ერთი დიმიტრი დონელის დროინდელი. სურათსა და ზარბაზნებს მარჯვნივ და მარცხნივ უდგა ორი ფეირვერკერი: ერთს მე-XVII საუკუნის თოფჩის ტანისამოსი ეცვა, წითელი კაბა თეთრის ბუზმენტით მორთული და ბეწვიანი ქუდი ცისფერ ბოჭკოიანი...

ხელმწიფე იმპერატორმა მიაქცია ყურადღება მოსკოვის საბირჟო საზოგადოების შეწირულების დასაარსებლად ალექსანდრეს საკომერციო სასწავლებელთან მოსკოვში სატეხნიკო განყოფილებისა რთვა-ფეიქრობისა და სამღებრო ხელოსნობის სასწავლებლად. ეგ შეწირულება ამტკიცებს ახალს მზრუნველობას მოსკოვის საბირჟო საზოგადოებისასაო და ამიტომ მადლობელი ვარ მისიო, ბრძანა იმპერატორმა. იმედი მაქვს საზოგადოება კვლავაც გულ-მოდგინედ ილვაწებს მშობლიურის ვაჭრობა—აღებ-მიცემის სასარგებლოდაო.

მემკვიდრე ცესარევიჩი, დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე, ამხანაგი გენერალ-ფელდ-ცეიხმეისტერისა სოფიანო და ფინანსთა და სამხედრო მინისტრი დანიშნულ იქმნენ საარტილერიო აკადემიის საპატიო წევრებად.

„С.-Пет. Вѣд“-ს გაუგონია, რომ მინისტრთა კომიტეტმა საბოლოოდ გადასწყვიტა ყური უგდოს მთავრობამ ყველა რკინის გზების შემოსავალ-გასავალსაო.

მოსკოვი. დღეს მოსკოვის ბირჟის იუბილეის გამო შუადღისას გარდახდილ იქმნა პარაკლისი თანადასწრებით ფინანსთა მინისტრისა, გენერალ-გუბერნატორისა, ვიცე-გუბერნატორისა, ქალაქის თავისა, საბირჟო კომიტეტისა და დეპუტაციებისა. პარაკლისის შემდეგ გაიმართა კრება. ფინანსთა მინისტრმა გამოუცხადა კრებას უმაღლესი მადლობა ხელმწიფე იმპერატორისა საბირჟო საზოგადოების მიმართ. ფინანსთა მინისტრის სიტყვას სამჯერ «ურას» ძახილით მიეგებნენ და სთქვეს საერო საგალობელი. შემდეგ საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარემ წაიკითხა ისტორიული მიმოხილვა ბირჟის არსებობისა. მერე წაიკითხეს ადრესები და დეპეშები მოლოცვისა. მოსკოვის ვაჭართა საზოგადოების დეპუტაციამ გამოაცხადა, სხვათა შორის, რომ საზოგადოებამ გადასწყვიტა, დააარსოს ალექსანდრეს საკომერციო სასწავლებელთან სატეხნიკო განყოფილებაო. დღესასწაულს მოჰყვა ბოლოს საუზმე და წარმოთქმულ იქმნა სამი სადღეგრძელო: ხელმწიფე იმპერატორისა, ფინანსთა მინისტრისა და გენერალ-გუბერნატორისა. შემდეგ ფინანსთა მინისტრმა ისურვა წარმატება და აყვავება რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობისა და მასთან ერთად მოსკოვის ბირჟისაცა.

ვენეცია. აქ მოვიდა ინკოგნიტოდ მემკვიდრე ცესარევიჩი.

ბერლინი. „მთავრობის უწყებათა“ ცალკე დამატებაში დაბეჭდილია დეპეშა ვისმანისა ზანზიბრიდამ, 20 ნოემბრის თარიღით, ახალის წელთ-აღრიცხვისამებრ.

მივაპვა. 10 ნოემბერს მოვიდნენ სტენლი, ემინ-ფაშა და სხვა მისიონერები. ბოლამსიოს პირველ იანვარზე ადრე არ მოელიან იმათ მოსვლას.

პეტერბურგის ბირჟა, 7 ნოემბ.

| | მყიდველნი ჰყავდა. | გამყიდველნი. | გაყიდულა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7 61 | — „ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | 151 3/4 | — „ | — „ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 10 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 245 1/4 |
| —მეორისა . . . . . | 224 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

---

რანს და შეუტია: ვინ მოთრეულხარ, რომ „იგრი ბატონის“ დაძახებასაც არა ჰკადრობო! მერე-კი იცნო, რომ ამირანი იყო, და ენა ჩაუვარდა პირში. რა გინდა, ამირანო, ჩემი თავი რაში დაგჭირდა, მე მუდამ მზადა ვარ სამსახური აგისრულოვო, უთხრა იგრიმ დარეჯანის ძეს. ხომ ჰხედავ, წვერულვაში გამცვივნია, შენ თუ გამიკეთებო, უთხრა ამირანმა. მე ხელმწიფის ყმა ვარო, უპასუხა იგრიმ: და სანამ იმის ბრძანებას არ მომიტან, წვერს ვერ გაგიკეთებო.

ამირანი წავიდა ხელმწიფესთან ბრძანების მოსატანად, მაგრამ ხელმწიფემ ვერ იცნო გაქოსაევებული ამირანი და დაითხოვა. გასწი, გაეთრიე, ვინ მოთრეულხარ, ბრძანება ვის უნდა მოგცე, მე რა ვიცი, შენ ვინა ხარო. თუ არ მომცემ ნებით, ძალით წავიღებო, უთხრა ამირანმა: წასწვდა, წაჰგლიჯა თავი, გამოიხვია კალთაში, წამოუღო იგრის, გაუგორა და უთხრა: „ესეც შენი ბრძანება, ჩქარა საქმეს შეუდეგ“. იგრი რაღას იზამდა, მაშინვე გაუკეთა მშვენიერი წვერ-ულვაში და გაისტუმრა. ამირანი წავიდა ძმებთან... ძმები ისევ წავიდნენ ყამარის საძებნელად. ათასი თავ-გადასავალი გადაჰხდათ, ათასგან იომეს და ღვარეს სისხლი. ბოლოს მოსწყინდათ სისხლის ღვრაც, გარეთ უსახლ-კაროდ ყოფნაც და სთქვეს ძმებმა: რას დავდივართ, როგორც ნადირები და ცხოველები, დათვსაც-კი აქვს თავისი ბინა და ჩვენ-კი, სულკალმახის შვილებს, არა გვაქვსო. ვიშოვოთ სახლი, დავბინავდეთ, ოჯახობას მოვეკიდნეთო (უსიპსა და ბადრს-კი ჰყოლია ცოლები და ამირანს-კი ჯერ არა). უსიპმა ურჩია ამირანს, იქ ჩავიდეთ, გუშინ რომ ვიყვენით, ქორწილი რომ ჰქონდა დევებსაო:

აიქ ჩავიდეთ, ამირან,
გუშინ რო ჭარი ხვიოდა;
დევებსა ჰქონდა ქორწილი,
სიმღერა ამოდიოდა.
შაგვგიპატიჟეს, შავედით,
ამირანს პური ჰშიოდა.
დედობილების ნაცხობი
ქადა კეცებში შხიოდა;
შამაჭმევს, შამასმენეს,
კაცის თავ-ფეხი დიოდა;
სადგინით ღვინო მოგვართვეს,
შიგ გველ-ბაყაყი წიოდა;
უსმელ-უჭმელად დავეხით,
ყელშიაც ამოგვდიოდა.
ამირანს შემოხედნოდით,
ცრემლები ჩამოჰქდიოდა.
პატარა შვილი მამასა
ლოგინით წამაჰკიოდა:
„ჰკა მას მიჰკლებდია,
ამირანს მოგაკლეინებ,
ბადრისა წითელთ გალოთა
სადილად დაგახრეინებ,
უსიპის ქამარ-ხანჯარსა
წელზე შამოგარტყმეინებ!“
მამას შვილი ჰკარ პირშია,
სისხლ წავა დასაგუბარად;
წარბის თავს დაჰკარ ხანჯარი
სისხლისა გასადინარად.
დევებმ დაიწყეს სიცილი
ამირნის დასამშვიდარად:
ყმაწვილის საუბარზედა,
ამირან, ომი გინდა რად!?
თხორს სძახდა დევების დედა,
ჯარა ხვიშტავი ხვიოდა;
ამირანს მაგათ ხუილი
ფოთვლად არ შამოსდიოდა;
ბადრი ქარს ჰგვანდა, ფურცელსა,
ცაშიით ჩამოსწყიოდა;
უსიპს დაჰკვლევდი, დნებოდა,
დაკვლივით სადამ ჰქრებოდა!

მართლა, ახლი საჩვენო სახლი ის არისო, უთხრა ამირანმა ძმებს: თქვენ გამამყევით და მე ვიცი და იმ დევებმაო. ამირანმა წაიყვანა ძმები და ცხრა ძმა დევების კარზე მიიყვანა. ცხრა ძმა დევები ძალიან გახვიებულები იყვნენ, ერთი უზარმაზარი ოჯახი ჰქონდათ, უთვალავი ქალი და რძალი ჰყვანდათ, ბალღები და მოხუცებულები. მუდამ დღე აულებელი სუფრა ედგათ, არცა მუშაობდნენ და მუდამ უქმად ეყარნენ. ამირანი მივიდა დევების კარზედ. გაიელის და გამოიელის დარეჯანისძე და უყურებს დევის კარებს. ერთმა ქალმა დაინახა კარებზედ მოარული ამირანი, შევიდა და უთხრა დევებს: აქ ვიღაც კაცი მოსულა, კარებზე დასეირნობს და აინუნშიაც არ იგდებს, თუ თქვენ აქა ხართო. დევებმა სთქვეს: ის თუ იქნება, დარეჯანისძე იქნება, სხვა აქ ვერავინ მოვიდოდაო. გამოგზავნეს ერთი ქალი და უთხრეს: გადი, გაუარ-გამოუარე, გაუცინე, და ეგები იმანაც გაგიცინოსო. თუ ოქროს კბილი გამოუჩნდა, შემოდი შეგვატყობინე, თავდარიგი უნდა დავიჭიროთ, თორემ დარეჯანისძე ადვილი სასტუმრო არ არისო. გამოვა დევის ქალი, გაუვლის და გამოუვლის ამირანს, გაუვლის და გაუცინებს. ამირანმა უთხრა:

რას იცინი, დევის ქალო,
რას მიღვი თეთრსა პირსა,
გამივლი და გამომივლი,
გამისინჯავ ბაგე-კბილსა!
სომეხი ვარ, ტანტრე მქვიან,
დავკარგე და ვეძებ ვირსა;
დღეს დავკარგავ, ხვალ ვიპოვნი,
ჩემი ბედიც ასე სჭრისა!

ქალი შევიდა შინ და მოახსენა დევებს, რომ ოქროს კბილი აქვს იმ კაცს, საცრის ოდენი თვალები აქვს, ვირები დაუკარგნია და იმათ ეძებსო. სანამ ქალი ლაპარაკს გაათავებდა და დევები იარაღს აისხამდნენ, ამირანი შეუვარდება დევებს და წაიკაფიავებს:

გაყიკაცო გულოვანო,
ღვინის ფერო, მცინარეო,
ხმლის სამოკლე რას დაგიშლის,
ფეხი წადგი წინარეო!

დაერია დევებს თავის მოკლე ხმლით და სულ ერთიან ამოქლიტა. დევების სისხლით სახლი თავამდე აივსო. სისხლის გუბე ყელამდე მოადგა ამირანს, შეიკრა, შეკუთდა და დაარჩობდა კიდეც ამირანს უცილოდ, რომ ბედისაგან გაწირული ყოფილიყო. ამირანი ამ ყოფაში იყო. მიიწია-მოიწია, მისძრა-მოსძრა სისხლის ტბა, მაგრამ აბა! შველა ალარსაით იყო. თავის ნახოცის დევების სისხლში იჩრჩობოდა ამირანი, მოაგონდა ყამარი, დაენანა თავი და სთქვა:

მოკლალე გმირის მარჯვენა
ამდენი ომში ქნევითა,
ჯაჭვის კალთები დამაცვდა,
ამდენი სისხლში რევითა...
გაიმე, ჩემო ყამარო,
ვერ გავძეს შენის ხვევითა.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე-18 § ძალით ქვემო აღნიშნულს რიცხვებში ბანკის გამგეობის სადგურში საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქმნებიან ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, შესახვედრ გარდასახადთა შემოუტანლობის გამო.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრონენი, თანახმად ბანკის წესდების მე-19 §-ისა, შეავსებენ ბანკის გადასახადს და თან განცხადებითა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თავნის ფულიდამ ზედ დამატებით სხვადა სხვა შეუვსებელის გარდასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშვნაზე ხარჯებისა და საზოგადოდ ყველა იმ ფულისა, რომელიც ბანკს თავისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს. ბანკის ხანგრძლივის ვალის თავნის მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან საჴელდობრივის ფასისამებრ მანეთი მანეთად და აგრეთვე შეიძლება გადატანილ იქმნენ მყიდველზე. ხოლო ვადაზე გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნაღდად.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურთ, მათ შეუძლიან გასასყიდელთ მამულთა აღწერილობისა და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ, ბანკის წესდების მე 24 § საფუძველით, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 29 დეკემბერს 1889 წელსა.

## ვაჭრობა 14 დეკემბერს 1889 წ.

### 18⁷/₁₂ წლიანი სესხნი

### ქ. ქუთაისს

ვარდანაშვილისა, გიორგი მახარობელის ძის: ნემეცის ქუჩაზე ერთ სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 15,42 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 253 მან. 6 კ. შეს. გარდ. 60 მან. 8 კ სულ 313 მ. 14 კ.

დარახველიძისა, მიხეილ ერასტოს ძის: ორპირის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლი—ერთი ორ სართულიანი და მეორე ერთ-სართულიანი და მიწა 312 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 2697 მ. 62 კ. შეს. გარ. 415 მ. 19 კ. სულ 3112 მ. 81 კ.

თურქიასი, მამუკა კოსტას ძის: ვოგზალის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 2330 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 4591 მან. 97 კ. შეს. გარ. 831 მ. 93 კ. სულ 5423 მ. 90 კ.

მემკვიდრეთა ჩარექოვისა, ელისაბედ სიმონის ასულის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები სარდაფით და მიწა 103½ ოთხ კუთხი საჴ. თავნი ვალი 1307 მ. 17 კ. შეს. გარდ. 229 მ. 54 კ. სულ 1536 მ. 71 კ.

შამირანოვისა, იოსებ ივანეს ძის: ფრანგების ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 120 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 421 მ. 74 კ. შეს. გარდ. 80 მ. 52 კ. სულ 502 მ. 26 კ.

დიასამიძეთა, ნესტორ და სამსონ მიხეილის ძეთა: სათავადო ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 20 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 1359 მან. 31 კაპ. შეს. გარ. 222 მან. სულ 1581 მან. 31 კაპ.

მიქელაძისა, ეკატერინა კონსტანტინეს ასულისა: ორპირის ქუჩაზე მიწა 442 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 815 მან. 45 კაპ. შეს. გარ. 157 მ. 14 კაპ. სულ 972 მან. 59 კაპ.

ალიბეგოვთა, ალექსანდრე, იოსებ და ივანე ხუთისოვარის ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 14 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 677 მან. 1 კაპ. შეს გარ. 103 მან. 60 კაპ. სულ 780 მ. 61 კაპ.

გოგიჩაძისა, სიმონ დიმიტრის ძის: ინგლისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 200 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 434 მ. 97 კ. შეს. გარ. 74 მან. 86 კაპ. სულ 509 მან. 83 კაპ.

ქუთათელაძეთა, კლემენტი პეტრეს ძის და მეუღლისა მისისა ეკატერინესი: გეგუთის ქუჩაზე ორ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 200 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 967 მ. 19 კაპ. შეს. გარ. 169 მან. სულ 1136 მან. 19 კაპ.

მურადოვისა, თომა პავლეს ძის: ბალახვანის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 54 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 725 მ. 15 კ. შეს. გარ. 108 მან. 90 კაპ. სულ 834 მან. 5 კაპ.

ზაიცევისა, ევლამპია და ელისაბედისა: ორპირის ქუჩაზე ორი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 81 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 870 მან. 33 კაპ. შეს. გარდ. 102 მან. 40 კაპ. სულ 972 მ. 73 კ.

ალიბეგოვთა, იოსებ, ალექსანდრე და ივანე ხუთისოვარის ძეთა: ლევაშოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 1270 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 615 მან. 77 კაპ. შეს. გარ. 93 მან. სულ 708 მან. 77 კაპ.

მემკვიდრეთა ალხაზოვისა, ივანე კაციას ძის: პოლიციის ქუჩაზე ერთი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 334 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 1517 მან. 3 კაპ. შეს გარდ. 155 მან. 60 კაპ. სულ 1672 მან. 63 კაპ.

რუხაძისა, კესარია ათანასის ასულის: ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 89 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 729 მ. 50 კ. შეს. გარდ. 95 მან. 24 კაპ. სულ 824 მან. 74 კაპ.

დოდობერიძისა, ნიკოლოოზ ზაალის ძის, გადასული ეკატერინე დოლობერიძეზედ: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 213 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 1709 მან. 60 კაპ. შეს. გარდ. 166 მან. სულ 1875 მან. 60 კაპ.

მემკვიდრეთა ზალინოვისა, ნიკოლოოზ ენოქის ძის: ქარვანსარაის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები, სარდაფით და მიწა 36 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 6838 მან. 20 კაპ. შეს. გარდ. 867 მან. სულ 7705 მან. 20 კაპ.

ზურგელისა, ნატალია მოსეს ასულის: ტფილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მიწა 198 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 1763 მან. 6 კაპ. შეს. გარდ. 166 მან. სულ 1929 მან. 6 კაპ.

მემკვიდრეთა იოსელიანისა, გიორგი ზურაბის ძის: ტფილისის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 440 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 3646 მან. 89 კაპ. შეს. გარდ. 346 მან. 20 კაპ. სულ 3993 მან. 9 კაპ.

ქალანთაროვისა, დავით კარაპეტის ძის: ივანოვის ქუჩის შესახვევში ორ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 298 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 1139 მ. 70 კ. შეს. გარდ. 179 მ. 42 კ. სულ. 1319 მან. 12 კაპ.

რუხვაძისა, ვასილი ბუქუას ძის, და ახობაძისა, სტეფანე ანდრიას ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ სართულიან ქვითკირის დუქნები და მიწა 91½ ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 1481 მ. 56 კ. შეს. გარდ. 180 მ. 64 კ. სულ 1662 მ. 24 კ.

მესხისა, მიზარბეგ ფირანის ძის: ივანოვის ქუჩის შესახვევში ერთ სართულიანი სახლი სარდაფით და მიწა 189 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 1709 მ. 54 კ. შეს. გარდ. 254 მ. 93 კ. სულ 1969 მ. 47 კ.

მატარაძეთა, მიხეილ, ივანე და იოსებ დიმიტრის ძეთა: სილაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 138 ოთხ კუთხი საჴ. თავნი ვალი 683 მ. 77 კ. შეს. გარდ. 70 მ. 60 კ. სულ 754 მ. 37 კ.

ფიჩხაძისა, მამაჯან ისრაელას ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი დუქანი და მიწა 9 ოთხ კუთხი საჴ. 1 ალაბი. თავნი ვალი 2735 მ. 35 კ. შეს. გარდ. 395 მ. 80 კ. სულ 3131 მ. 15 კ.

ხურციძისა, თედორე ვახუშტის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი, დუქნები და მიწა 860 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 284 მ. 75 კ. შეს. გარდ. 36 მ. 86 კ. სულ 321 მ. 61 კ.

ხუნჯუასი, ნიკო გიორგის ძის: არტილლერიის ქუჩაზე ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 1473 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 2051 მ. 42 კ. შეს. გარდ. 327 მ. 5 კაპ. სულ 2378 მ. 47 კ.

ჩარკვიანისა, გიორგი ოქროპირის ძის: წულუკიძის შესახვევში ორი სახლი, ერთ ორ-სართულიანი და მეორე ერთ-სართულიანი, და მიწა 63 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 355 მ. 88 კ. შეს. გარდ. 73 მ. 51 კ. სულ 529 მ. 39 კ.

მემკვიდრეთა ჩარექოვისა, ელისაბედ სიმონის ასულის: მახლობლად ქუთაისის რკინის გზის სადგურისა ორი ხის სახლი და მიწა 8006 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 683 მ. 79 კ. შეს. გარდ. 93 მ. სულ 776 მ. 79 კ.

შავგულიძისა, იოსებ შაქარას ძის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 2516 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 1424 მ. 58 კაპ. შეს. გარდ. 139 მ. 50 კ. სულ 1564 მან. 08 კაპ.

ერისთვისა, კონსტანტინე სიმონის ძის: ტფილისის ქუჩაზე ორი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 1200 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 9090 მ. 37 კ. შეს. გარდ. 1536 მ. 34 კ. სულ 10626 მ. 71 კ.

ალავიძეთა, ნიკოლოოზ და ნოშრევან ოქროპირის ძეთა: ივანოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 224 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 716 მ. 32 კ. შეს. გარდ. 101 მ. 96 კ. სულ 818 მან. 28 კ.

ბინიაურიშვილთა, არონ, დავით, ისხაკა და მიხეილ ელოს ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 7 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 2029 მან. 65 კაპ. შეს. გარდ. 261 მან. 24 კ. სულ 2290 39 კაპ.

ზაინდუროვისა, ივანე სიმონის ძის: მიხეილის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 18 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 775 მ. 99 კ. შეს. გარდ. 75 მ. 90 კ. სულ 851 მ. 89 კაპ.

მემკვიდრეთა გურამისა, ნიკო გლახუას ძის გადასული სოლომონ წერეთელზე: ალექსანდრეს სლობოდის მეორე ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 279 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 477 მან. 53 კაპ. შეს. გარდ. 49 მ. 40 კ. სულ 526 მან. 93 კ.

გაბუნიასი, მიხეილ ბეჟანის ძის, და ძაგანიასი, ოთარა დუტუს ძის: გეგუთის ქუჩაზე ორი ერთ-სართულიანი სახლი—ერთი ქვითკირისა და მეორე ხისა და მიწა 103 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 596 მან. 95 კაპ. შეს. გარდ. 93 მან. 4 კაპ. სულ 689 მან. 99 კაპ.

ეზიკოვისა, რ...ტ...ლ სიმონის ძის: თბილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 44 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 1432 მან. 59 კაპ. შეს. გარდ. 179 მან. სულ 1611 მან. 59 კაპ.

ყაუხჩევისა, ნინო გიორგის ასულის: ივანოვის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 264 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 1790 მან. 80 კაპ. შეს. გარდ. 289 მან. 94 კაპ. სულ 2080 მან. 74 კაპ.

მაჩიტიძისა, ტერენტი გიორგის ძის: რიონის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 353 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 596 მან. 98 კაპ. შეს. გარდ. 60 მან. სულ 656 მ. 98 კ.

მარჯანოვისა, კონსტანტინე ანდრიას ძის: არქიელის გორაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ბაღით და მიწა 1800 ოთხ კუთხი საჴ. თავნი ვალი 1611 მან. 78 კაპ. შეს. გარდ. 200 მან. 50 კაპ. სულ 1812 მან. 28 კაპ.

შაშუაშვილისა: შალომა აბრამის ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 8 ოთხ-კუთხი საჴ. 5 ოთხ-კუთხი ალაბი. თავნი ვალი 2507 მან. 11 კაპ. შეს. გარდ. 308 მან. სულ 2815 მან. 11 კაპ.

ბუზიაშვილთა, არონ იაკობის ძის, შამიელ, მიხეილ და რაფაელ ისხაკას ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 15 ოთხ-კუთხი საჴ. და 5 ოთხ-კუთხი ალაბი. თავნი ვალი 2493 მან. 5 კ. შეს. გარდ. 393 მან. 52 კაპ. სულ 2816 მან. 57 კაპ.

გაბაშვილისა, ბესარიონ ალექსის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 72 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 1869 მან. 75 კაპ. შეს. გარდ. 271 მან. 28 კაპ. სულ 2141 მან. 3 კაპ.

ქვარიანისა, კონსტანტინე ანანიას ძის: მიხეილისა და ბაზრის ქუჩებს შუა ორ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 19 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 2493 მან. 2 კაპ. შეს. გარდ. 286 მან. 20 კაპ. სულ 2779 მან. 22 კაპ.

მემკვიდრეთა ქებაძისა, სოლომონ გრიგოლის ძის გადასული ნატალია აბაშიძეზე: ივანოვის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 203 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 2119 მან. 4 კაპ. შეს. გარდ. 187 მან. 20 კაპ. სულ 2306 მან. 24 კაპ.

კანდელაკისა, ბესარიონ ოქროპირის ძის: ტფილისის ქუჩაზე ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი მიწა 300 ოთხ კუთხი საჴ. თავნი ვალი 2493 მან. 5 კაპ. შეს. გარდ. 308 მან. 70 კაპ. სულ 2801 მან. 75 კაპ.

ლორთქიფანიძისა, ანტონ ნიკოლოოზის ძის: ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 190 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 8826 მან. 15 კაპ. შეს. გარდ. 1141 მან. სულ 9967 მან. 15 კაპ.

უტუღოვისა, მარიამ ალექსის ასულის: მიხეილის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 128,5 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 1172 მან. 53 კაპ. შეს. გარდ. 129 მან 28 კაპ. სულ 1301 მან. 81 კ.

ჩარკვიანისა, ეკატერინე ანდრიას ასულის: მთის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 423 ოთხ კუთხი საჴ. თავნი ვალი 498 მან. 66 კაპ. შეს. გარდ. 49 მან. 40 კაპ. სულ 548 მან. 6 კაპ.

ჭედიასი, პეტრე დავითის ძის: ლევაშოვის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 157 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 373 მან. 88 კაპ. შეს. გარდ. 60 მან. 8 კაპ. სულ 433 მან. 96 კაპ.

შავგულიძისა, იოსებ შაქარას ძის: გეგუთის ქუჩაზე ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 227 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 2243 მან. 70 კაპ. შეს. გარდ. 257 მან. 16 კ. სულ 2500 მ. 86 კაპ.

აბულაძისა, დავით გიორგის ძის: სილაზე ერთ სართულიანი ხის სახლი და მიწა 157½ ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 454 მან. 20 კაპ. შეს. გარ. 66 მან. 50 კაპ. სულ 520 მან. 70 კ.

მიხაილოვისა, ალექსანდრე ევგენის ძის: ფრანგების ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 50 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 788 მან. 44 კ შეს. გარდ. 80 მან. 77 კაპ. სულ 869 მან. 21 კაპ.

ჯიმშეროვისა, დომინიკა ნიკოლოოზის ასულისა. გიმნაზიის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლი—ერთი ორ-სართულიანი და მეორე ერთ-სართულიანი და მიწა 241 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 7657 მან. 61 კაპ. შეს. გარდ. 943 მან. 25 კაპ. სულ 8600 მან. 86 კაპ.

გაბაევისა, ბესარიონ ალექსის ძის: გორას ქვემეთის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლი და მიწა 300 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 2335 მან. 63 კაპ. შეს. გარდ. 306 მან. 24 კაპ. სულ 2641 მან. 87 კაპ.

გაბაევისა, ისიდორე გიორგის ძის: ლაზარეთის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 120 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 1946 მან. 45 კაპ. შეს. გარდ. 207 მან. 44 კაპ. სულ 2153 მან. 89 კაპ.

დგებუაძისა, ნიკოლოოზ ფირანის ძის: ტფილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 190 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 2595 მან. 17 კაპ. შეს. გარდ. 286 მან. 20 კაპ. სულ 2881 მან. 37 კ.

ჯინოშვილისა, პაელე ივანეს ძის: მიხეილის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 434 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 5060 მან. 48 კაპ. შეს. გარდ. 529 მან. 4 კაპ. სულ 5589 მან. 52 კაპ.

ისაევისა, მიხეილ პეტრეს ძის: უსახელო ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 254 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 1037 მან. 98 კაპ. შეს. გარდ. 119 მან. 80 კაპ. სულ 1157 მან. 78 კაპ.

მდივნისა, ბესარიონ მიზარბეგის ძის: მესხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი სახლი და მიწა 1575 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 1622 მან. 3 კაპ. შეს. გარდ. 195 მან. 50 კაპ. სულ 1817 მან. 53 კაპ.

ფიჩხაძისა, შამუელა და მანუახა შაფათას ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 63 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 1297 მან. 63 კაპ. შეს. გარ. 143 მან. სულ 1440 მან 63 კაპ.

სადუჴროვისა, სალომე სიმონის ასულის: ფრანგების ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 60 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 1362 მან. 46 კაპ. შეს. გარდ. 232 მან. 54 კაპ. სულ 1595 მან.

ციციშვილისა, მიხეილ აბრამის ძის: გაგარინის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 40 ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 2595 მან. 18 კაპ. შეს. გარდ. 292 მან. 92 კ. 2888 მან. 10 კაპ.

ცულეისკირისა, პეტრე ბასილის ძის: ალექსანდრეს და ტფილისის ქუჩებს შუა ორი ერთ-სართულიანი სახლი და მიწა 237 ოთხ კუთხი საჴ. თავნი ვალი 3892 მან. 75 კაპ. შეს. გარდ. 325 მან. სულ 4217 მან. 75 კაპ.

მისივე: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 7½ ოთხ-კუთხი საჴ. თავნი ვალი 1167 მან. 71 კაპ. შეს. გარდ. 102 მან. 40 კაპ. სულ 1270 მან. 11 კ.

ჩარექოვისა, პეტრე იოსების ძის, გადასული სტანისლავა ჩარახჩიანოვაზე: ქარვანსარაის ქუჩაზე ორ-სართუ-

ლიანი ქვითკირის სახლი და მიწა 148 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 3243 მან. 85 კაპ. შეს. გარდ. 272 მან. სულ 3515 მან. 85 კ.

ჩარკვიანთა, ალექსი და გიორგი სპირიდონის ძეთა: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 526 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 1180 მან. 17 კაპ. შეს. გარდ 136 მან. სულ 1316 მან. 17 კაპ.

შავგულიძეთა, პავლე და ლევან გიორგის ძეთა, და დიმიტრი გრიგოლის ძის: ალექსანდრეს სლობოდაში ორი ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 215 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 973 მან. 11 კაპ. შეს. გარდ. 114 მან. 50 კაპ. სულ 1087 მან. 61 კაპ.

შავგულიძისა, თედორე სიმონის ძის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 395 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 259 მან. 51 კაპ. შეს. გარდ. 50 მან. 60 კაპ. სულ 310 მან. 11 კაპ.

აბულაძისა ნიკოლოოზ გიორგის ძის: გეგუთის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 250 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 5388 მან. 61 კაპ. შეს. გარდ. 763 მან. 85 კ. სულ 6152 მან. 46 კაპ.

ავალიანისა, ლუკა სიმონის ძის: თბილისის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 105 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 2424 მან. 90 კაპ. შეს. გარდ. 298 მან. 60 კაპ. სულ 2723 მან. 50 კ.

აღტესი, ალექსანდრა კონსტანტინეს ასულის: თბილისის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 1317 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 5388 მან. 61 კაპ. შეს. გარ. 431 მან. სულ 5819 მან. 61 კ.

ბუზურიშვილისა, გიორგი გურგენის ძის: თბილისისა და მიხეილის ქუჩებს შუა ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 296 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 14751 მან. 44 კ. შეს. გარდ. 1391 მან. 70 კაპ. სულ 16143 მან.

ზინაპურიშვილისა, აბრამ მოშას ძის: გელათის ქუჩაზე ორ სართულიანი სახლი და მიწა 77½ ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 1212 მან. 40 კაპ. შეს. გარდ. 147 მან. 82 კაპ. სულ 1360 მან. 22 კაპ.

დამბაშიძისა, ესტატე ბესარიონის ძის: თბილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 153,57 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 673 მ. 53 კაპ. შეს. გარდ. 81 მან. 28 კ. სულ 754 მან. 86 კაპ.

დერიუმინისა, გენრიხ ლორენტის ძის: თბილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 266 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 3704 მან. 61 კ. შეს. გარდ. 400 მან. 42 კ. სულ 4105 მან. 9 კაპ.

დვალიშვილისა, ისრაილ ელიას ძის: სათავადო ქუჩაზე ორ სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 8,3 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 2694 მ. 34 კ. შეს. გარდ. 331 მ. სულ 3025 მ. 34 კ.

ზალდინოვისა, ბარბალე ზაქარიას ასულის: ივანოვის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი სარდაფით და მიწა 840 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 1347 მ. 11 კ. შეს. გარდ. 113 მ. სულ 1460 მ. 11 კ.

ქალანთაროვისა, მიხეილ კარაპეტას ძის: ივანოვის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 265 ოთხ კუთხი საჟ. თავენი ვალი 1077 მ. 71 კ. შეს. გარ. 136 მან. 60 კ. სულ 1214 მ. 31 კ.

მატარაძისა, სპირიდონ ანდრიას ძის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 58 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 1684 მ. 6 კ. შეს. გარდ. 150 მ. 34 კ. სულ 1834 მ. 40 კ.

ნიჟარაძისა, ალმასხან დიმიტრის ძის, გადასული ეკატერინე სუმბათოვისაზე: ფრანგების ქუჩაზე ერთ-სართულიანი სახლი და მიწა 144 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 3031 მ. 17 კაპ. შეს. გარ. 388 მან. 62 კაპ. სულ 3419 მან. 69 კ.

ნიკოლაევისა, ალექსანდრე ნიკოლოზის ძის: ალექსანდრეს სლობოდაში ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 197 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 942 მ. 99 კ. შეს. გარდ. 81 მან. 20 კაპ. სულ 1024 მ. 19 კ.

ფესაკაძისა, იაკობ ივანეს ძის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 57 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 1684 მ. 4 კ. შეს. გარდ. 186 მ. 54 კ. სულ 1870 მ. 58 კაპ.

ფიჩხაძეთა, მანუჩარ და შამოილა შიოთას ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 12,7 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 2020 მ. 69 კაპ. შეს. გარდ. 243 მ. 36 კ. სულ 2264 მან. 5 კ.

რიჟინაშვილისა, საფარა ელიას ასულის: ფრანგების ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 71 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 808 მან 27 კ. შეს. გარ. 104 მან 20 კ. სულ 912 მ. 47 კაპ.

რუხაძისა, ლუკა ნიკოლოზის ძის, და აბულელიანისა, იასონისა: გეგუთის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 79,5 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 336 მან. 71 კაპ. შეს. გარდ. 54 მან. 78 კაპ. სულ 391 მან. 49 კაპ.

ზაზუნაძისა, სუსანასი: ბალახვანის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 66¾ ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 740 მან. 92 კ. შეს. გარდ. 97 მან. 15 კაპ. სულ 838 მან. 7 კაპ.

ხახანაშვილისა, აბრამ ისრაელის ძის, და ცაცაშვილისა, ყობა: გელათის ქუჩის შესახვევში ორ სართულიანი სახლი და მიწა 74 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 808 მან. 28 კაპ. შეს. გარდ. 91 მან. 83 კაპ. სულ 900 მ. 11 კაპ.

ხახანაშვილისა, შამუელა აბრამის ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 3 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 606 მან. 20 კაპ. შეს. გარდ. 74 მან. 86 კაპ. სულ 681 მან. 6 კაპ.

შავლაძისა, ევდოკია, და კანდელაკისა, ივლიტა: ტაიგელის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 1300 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 2694 მან. 34 კაპ. შეს. გარდ. 277 მან. 82 კაპ. სულ 2972 მან. 16 კ.

აბულოვისა, მიხეილ ბესარიონის ძის: კნიაზის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 8½ ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 1046 მან. 45 კაპ. შეს. გარ. 86 მან 50 კ. სულ 1132 მან. 95 კაპ.

გორგიძისა, ივანე გიორგის ძის: მესხეთის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 98 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 488 მან. 46 კაპ. შეს. გარდ. 65 მან. 38 კაპ. სულ 552 მან. 84 კაპ.

გალაშვესკისა, ოლგა იაკობის ასულის ბალახვანის ქუჩაზე ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 124 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 697 მ. 65 კ. შეს. გარ. 39 მ. 89 კ. სულ 737 მან. 54 კაპ.

ქუთათელაძისა, ოლღა გრიგოლის ასულის: გეგუთის ქუჩის შესახვევში ერთ სართულიანი ხის სახლი და მიწა 220 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 1395 მ. 30 კ. შეს. გარდ. 163 მ. 40 კ. სულ 1558 მ. 70 კ.

კოკობოვისა, მარიამ სტეფანეს ასულის: ნემეცის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი სარდაფით და მიწა 84 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 1395 მ. 30 კ. შეს. გარდ. 157 მ. 80 კ. სულ 1553 მ. 10 კ.

კუჩევსკისა, ელენე იოსების ასულის: ბალახვანის ქუჩაზე ორი ერთ-სართულიანი სახლი ქვითკირისა და ხისა და მიწა 87 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 837 მ. 17 კ. შეს. გარდ. 105 მ. 2 კ. სულ 942 მ. 19 კ.

სერგენკოსი, კუზმა პროკოფის ძის, გადასული მიხეილ შნეიდერზე: მეორე ქუჩაზე ალექსანდრეს სლობოდაში, სამი ერთ-სართულიანი სახლი და მიწა 205 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 2092 მ. 94 კ. შეს. გარდ. 222 მ. სულ 2314 მ. 94 კ.

თუმანოვთა, პავლე და ლევან ალექსანდრეს ძეთა: მახლობლად ქუთაისის რკინის გზის სადგურთა სამი ქვითკირის სახლი, ერთი ორ-სართულიანი და ორი ერთ-სართულიანი, და მიწა 7334 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 20929 მ. 49 კ. შეს. გარდ. 2717 მ. სულ 23646 მ. 49 კ.

ხითაროვისა, პეტრე ივანეს ძის: ნემეცის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 22½ ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 907 მან. შეს. გარდ. 109 მ. 50 კ. სულ 1016 მ. 50 კ.

წურინოვისა, გლახუა გრიგოლის ძის: პოლიციის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 75 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 697 მ. 71 კ. შეს. გარდ. 75 მ. 68 კ. სულ 773 მ. 39 კაპ.

ჭოლოშვილისა, ალექსანდრე ბეჟანის ძის: სილაზე ერთ-სართულიანი სახლი და მიწა 462 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 1395 მ. 33 კ. შეს. გარ. 157 მ. 9 კ. სულ 1552 მან. 42 კაპ.

ჩხეტიასი, მინა ივანეს ძის, და გვანცელაძისა, კონსტანტინე სტეფანის ძის: თურმანიძის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 147 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 697 მ. 65 კ. შეს. გარდ. 60 მან. სულ 757 მ. 65 კაპ.

ასათიანისა, ლუკა ნიკოლოზის ძის: გოშპიტლის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 310 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 5047 მ. 10 კ. შეს. გარდ. 571 მ. 17 კ. სულ 5618 მ. 27 კ.

ასათიანისა, კირილე გიორგის ძის: წულუკიძის შესახვევში ორი ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 59 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 1297 მ. 81 კ. შეს. გარდ. 127 მან. 4 კ. სულ 1424 მ. 85 კ.

ჯანელიძისა, ბახვა გრიგოლის ძის, გადასული ნიკოლოზ ჩიკვაიძეზე: გეგუთის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 151 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 1802 მ. 58 კაპ. შეს. გარდ. 184 მან. 30 კაპ. სულ 1986 მან. 88 კაპ.

ჯანგავაძისა, ექვთიმე ეგნატეს ძის: პოლიციის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 28 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 288 მან. 37 კაპ. შეს. გარდ 43 მან. 88 კაპ. სულ 332 მან. 25 კაპ.

ერისთვისა, დავით გრიგოლის ძის: ნემეცის ქუჩის შესახვევში ორი სახლი, ერთი ქვითკირისა ერთ-სართულიანი და მეორე ორ-სართულიანი ხისა და მიწა 357 ოთხ-კუთხი საჟ თავენი ვალი 2884 მან. 4 კაპ. შეს. გარდ. 292 მან. 83 კაპ. სულ 3176 მან. 87 კაპ.

ქორქაშვილისა, ლუკა დავითის ძის: ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 774 ოთხ-კუთხი საჟ თავენი ვალი 8652 მან. 23 კაპ. შეს. გარდ. 867 მან. სულ 9519 მან. 23 კაპ.

ქავრიანისა, კონსტანტინე ანანიას ძის: ქავრიანის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 1578 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 2163 მან. 5 კაპ. შეს. გარდ. 293 მან. 7 კაპ სულ 2456 მან. 12 კაპ.

კაუხჩევისა, ივანე იოსების ძის: გიმნაზიის და მიხეილის ქუჩებშუა ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 658 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 14,420 მან. 30 კაპ. შეს. გარდ. 1701 მან. 90 კაპ. სულ 16122 მან. 20 კაპ.

მელბროვისა, გიორგი ბადურას ძის: პოლიციის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი ხის სახლი 493½ ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 1442 მან. 4 კაპ. შეს. გარ. 113 მან. სულ 1555 მან. 4 კაპ.

მემკვიდრეთა ნიჟარაძისა, ერმოლოზ ოტიას ძის: გეგუთის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 319 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 7210 მან. 20 კაპ. შეს. გარ. 1155 მან. 33 კაპ. სულ 8365 მან. 53 კ.

ოვანესოვისა, პეტრე ივანეს ძის: პოლიციის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 81 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 504 მან. 77 კაპ. შეს. გარ. 65 მან. 38 კაპ. სულ 570 მან. 15 კაპ.

რუხაძისა, კესარია ათანასეს ასულის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 243 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 576 მ. 81 კაპ. შეს. გარ. 49 მან. 40 კაპ., სულ 626 მან. 21 კაპ.

რუხაძისა, ვასილ სიმონის ძის: თურმანიძის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 69 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 648 მან. 93 კაპ. შეს. გარ. 54 მან. 70 კაპ., სულ 703 მან. 63 კაპ.

თუმანოვთა, პავლე და ლევან ალექსანდრეს ძეთა: ალექსანდრეს ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 252 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 5768 მან. 11 კაპ. შეს. გარ. 579 მან. 96 კაპ. სულ 6348 მან. 7 კ.

მათივე და აკოფოვისა, სტეფანესი: ქარვან-სარაის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 172 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 8652 მან. 15 კაპ. შ.ს. გარ. 643 მან სულ 9295 მან. 15 კაპ.

თურქიასი, მამუკა კონსტანტინეს ძის: ვოგზლის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 211 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 7210 მან. 15 კაპ. შეს. გარ. 817 მან., სულ 8027 მან. 15 კაპ.

შამაევისა, მართა ტერ-გრიგოლის ასულის: პოლიციის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 158 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 937 მან. 39 კაპ. შეს. გარ. 126 მ. 44 კაპ. სულ 1063 მან. 83 კაპ.

გამრეკელოვისა, გრიგოლ გიორგის ძისა: ტფილისის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 281⅛ ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 5979 მან. 65 კაპ. შეს. გარ. 425 მან. 65 კაპ. სულ 6405 მან. 30 კ

გაგუაძისა, გიორგი დავითის ძისა: ალექსანდრეს ქუჩაზე ერთ-სართულიანი სახლი და მიწა 304,8 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 1733 მან. 22 კაპ. შეს. გარ. 141 მან., სულ 1874 მ. 22 კაპ.

ლორთქიფანიძისა, ანტონ ნიკოლოზის ძისა: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 306 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 1039 მან. 93 კაპ. შეს. გარ. 104 მან. 20 კაპ. სულ 1144 მან. 13 კაპ

მიქაბერიძისა, მინადორა ნიკოლოზის ასულისა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 527 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 693 მან. 29 კაპ. შეს. გარ. 69 მან. 56 კაპ. სულ 762 მან. 85 კაპ.

ბროკასა, ნიკოლოზ ივანეს ძისა, გადასული ივანე ბანდუროვზე, ალექსანდრე მიხაილოვზე და პოლიევქტო გლუკოვზე: მიხაილოვის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მოლაზიები 377 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 12833 მან. 40 კაპ. შეს. გარ. 775 მან. 50 კაპ. სულ 13608 მან. 90 კაპ.

მეგრელიძისა, საბანო ივანეს ძისა: უსახელო ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 176 ოთხ-კუთხი საჟ თავენი ვალი 265 მან. 52 კაპ. შეს. გარ. 36 მან. 34 კაპ. სულ 301 მან. 86 კაპ.

მელიასა, სპირიდონ გაბრიელის ძისა: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 265 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 2690 49 კაპ. შეს. გარ. 205 მან. 20 კაპ. სულ 2895 მან. 69 კაპ.

წულუკიძეთა, ანტონ, სიმონ, ალექსანდრე, ნესტორ, დავით და ვარდენ გრიგოლის ძეთა: ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 153 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 2655 მან. 19 კაპ. შეს. გარ. 252 მან. 24 კაპ. სულ 2907 მან 43 კაპ.

მემკვიდრეთა ჭიჭინაძისა, მიხეილ ოსიპის ძისა: ივანოვის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 374 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 4868 მან. 18 კაპ შეს. გარ. 189 მან. 36 კაპ. სულ 5057 მან. 54 მან.

მირიანოვისა, ზაქარია ანტონის ძისა: ადვოკატის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 70 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 1625 მან. 36 კ. შეს. გარდ. 138 მან. 60 კაპ. სულ 1763 მან. 96 კაპ.

მემკვიდრე ნიკოლაძისა, ივანე მათეს ძისა: გიმნაზიის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 216 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 11738 მან. 66 კაპ. შეს. გარდ. 999 მან. 52 კაპ. სულ 12738 მან. 18 კ.

ნაკაშიძისა, ბარბარე სოლომონის ასულისა: ტფილისის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 1314 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 26186 მან. 24 კაპ. შეს. გარდ. 2303 მან. 90 კაპ. სულ 28490 მან. 14 კაპ.

რიჟინაშვილისა, ყობა ისხაკის ძისა: ბაზარის ქუჩაზე ერთ-სართულიანი დუქანი და მიწა 8 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 722 მან. 38 კაპ. შეს. გარდ. 78 მან. 5 კაპ. სულ 800 მან. 43 კაპ.

მისივე, მიხეილოვის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 21¼ ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 1805 მან. 94 კაპ. შეს. გარდ. 182 მან. 58 კაპ. სულ 1988 მან. 52 კაპ.

როინიშვილისა, ეკატერინა ივანეს ასულისა: ლევაშოვის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 120 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 4063 მან. 39 კაპ. შეს გარდ. 377 მან. 50 კაპ. სულ 4440 მან. 89 კაპ.

ერისთვისა, ანასტასია ალექსის ასულისა: ინგლისის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 430 ოთხ-კუთხი საჟ თავენი ვალი 7223 მან. 79 კაპ. შეს. გარდ. 811 მან. 13 კაპ. სულ 8034 მან. 92 კაპ.